საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 5 20 00450500

09/06/2020

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის N448821 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) **2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი:**
ა.ა) 6-11 ივლისი (პირველი სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა;
ა.ბ) 6 ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;
ა.გ) 12 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;
ა.დ) 13 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;

ა.ე) 14 ივლისი (პირველი სესია) - მათემატიკა;
ა.ვ) 15 ივლისი (პირველი სესია) - მათემატიკა;
ა.ზ) 16 ივლისი (პირველი სესია) - ბიოლოგია;
ა.თ) უცხოური ენა:
ა.თ.ა) 17 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;
ა.თ.ბ) 17 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.თ.გ) 17 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;
ა.თ.დ) 18 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;
ა.თ.ე) 18 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.თ.ვ) 19 ივლისი (პირველი სესია) - გერმანული ენა;
ა.თ.ზ) 19 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.ი) 20 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ზოგადი უნარები;
ა.კ) 21 ივლისი (პირველი სესია) - ზოგადი უნარები;
ა.ლ) 21 ივლისი (პირველი სესია) - ლიტერატურა;
ა.მ) 22 ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა;
ა.ნ) 22 ივლისი (პირველი სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
ა.ო) 23 ივლისი (პირველი სესია) - გეოგრაფია;
ა.პ) 24 ივლისი (პირველი სესია) - ქიმია;
ა.ჟ) 25 ივლისი (პირველი სესია) სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;
ა.რ) 25 ივლისი (პირველი სესია) - სამოქალაქო განათლება.

ბ) 2020 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების შემდეგი განრიგი:

ბ.ა) 1 აგვისტო (პირველი სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
ბ.ბ) 2 აგვისტო (პირველი სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;
ბ.გ) 3 აგვისტო (პირველი და მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
ბ.დ) 4 აგვისტო (პირველი და მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი